პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 205 (19047) ოთხშაბათი, 5 სექტემბერი 1984 წელი ფასი 3 კაპ.

საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებები

ვაზი საყოველთაო-სახალხო სიმდიდრეა, რთველი საყოველთაო-სახალხო საქმეა

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

წლევანდელი მოსავალი შეიძლება რეკორდული გახდეს — ვარაუდობენ კახეთისა და რესპუბლიკის სხვა მევენახეობის რაიონების მევენახეები. იგი შეიძლება გახდეს და გახდება კიდეც რეკორდული, თუ მოკლე ვადებში, უდანაკარგოდ, მაღალ ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ დონეზე ავიღებთ.

1984 წლის რთვლის სტრატეგია განსაზღვრეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელმა ერთობლივმა დადგენილებებმა. მათში დასახული მიჯნის მიღწევა — 760 ათასი ტონა ყურძნის მოკრეფა შეუძლებელია მხოლოდ მევენახეთა ძალებით. ვაზი საყოველთაო-სახალხო სიმდიდრეა, რთველი საყოველთაო-სახალხო საქმეა. სწორედ ამიტომ ყოველმხრივ მხარდასაჭერია მრავალი შრომითი კოლექტივის, უმაღლესი სასწავლებლის, რაიონის, სამინისტროსა და უწყების ინიციატივა, რომლებმაც გადაწყვიტეს მევენახეებს დახმარება გაუწიონ წლევანდელ რთველში უშუალო ფართო მონაწილეობით.

... მხურვალე სურვილი იმუშაოს ამ დღეებში ვენახებში. მარტო წითელწყაროს რაიონში, სადაც ყველაზე საგრძნობია მუშახელის დეფიციტი, ორკვირიან „მევენახეობის სემესტრს" გაივლის 1700 სტუდენტი.

მევენახეთა მოწოდებას გამოეხმაურნენ ბევრი რაიონის მშრომელები. მესტიის რაიონიც კი, სადაც თვითონ უჭირთ მუშახელი, კახეთში 200 მოხალისეს მიავლენს.

რთველში სამუშაოდ გამოვლენ სახელოვანი ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები. ...

რთვლის რაიონებში მრავალი მკრეფავის ერთდროული ჩამოსვლა სერიოზულ ამოცანებს უყენებს ბევრ სამინისტროსა და უწყებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტებმა უნდა განახორციელონ სამუშაოთა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მოსავლის კრეფის პროცესისადმი ...

„ПРАВДА"

ტყიბული

ტყვარჩელი

ორბიტის ახალი ამბები

მოწინავეთა მხარდამხარ

პლანტაციებშია „საქართველო"

560.000 ტონა ჩაისათვის

ხუთწლედი — წელი მეოთხე

ახალი მარკის მილები

ოჯახური დინასტია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

პარტიული ცხოვრება

ამ დღეს მახარაძის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს კლუბში ბევრი ხალხი შეიკრიბა. პარტბიუროს მდივნის ო. ანდღულაძის მოხსენების შემდეგ ღია პარტიულ კრებაზე დიდხანს გრძელდა კამათი. კრების მდივანი ძლივს ასწრებდა აქ გამოთქმული წინადადებების აღნუსხვას.

— მალე 1 სექტემბერი დადგება და ქუჩები კვლავ გაივსება მოსწავლეებით, — მიმართავს დარბაზში შეკრებილ კოლეგებს ვეტერანი მძღოლი ვ. გულაძოვა. — ამიტომ მეტისმეტი სიფრთხილე გვმართებს, ვინაიდან საავტომობილო სტატისტიკის მონაცემებით ავტოავარიებით მომხდარი ყველაზე მეტი უბედური შემთხვევები სწორედ აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დამდეგს აღირიცხება, როცა ბავშვები, მოსწავლეები შინ ბრუნდებიან და სასკოლო ფაციფუცი სუფევს...

საქმე, რომელიც ყველას გვეხება

განიხილავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს გზებზე სახელმწიფო წესრიგის დამყარების შესახებ

სიტყვას იღებს მოწინავე მძღოლი ბ. ღლონტი: მგზავრთა გადაყვანა რომ მეტად საპასუხისმგებლო საქმეა, ყველამ კარგად ვიცით, ამიტომ უმეტესად ჩვენს პროფესიულ ოსტატობაზეა დამოკიდებული ადამიანების ჯანმრთელობა და სიცოცხლეც კი. მე პირადად, თუ შეუძლოდ ვარ, სამუშაოდ არ გამოვდივარ. მახსოვს, მანქანის მართვას რომ ვსწავლობდი, ორი წელი შეგირდად ვიყავი. დღეს მანქანის მართვის უფლების მოპოვება ერთობ გაიოლებულ-გაუ...

...პანტუყაძე და დასძენს, — ზოგიერთი მოყვარე სრულად არ უბრუნებს მგზავრებს კუთვნილ ხურდას, თანაც მანქანა — ავტობუსი იქნება ეს თუ ტაქსი, გაუწმენდავ-დაუსუფთავებელია. წელან ახალი სასწავლო წელი ვახსენეთ. ზოგიერთი ვაი-მძღოლი ავტობუსსაც არ უჩერებს მოსწავლეებს...

საინტერესო იყო დიდი სამამულო ომის ვეტერანის, კადრების განყოფილების გამგის მ. კუტუბიძის ყურადსაღები მოსაზრება. სახელმწიფო გეგმა-დავალებები, მართლაც, კანონია, მაგრამ მათ შესრულებას ყველა საშუალებით, სახელდობრ, საგზაო ეთიკის უგუ...

...თითქმის ყველა მძღოლმა აღნიშნა, რომ ბევრ სოფელში არ ზრუნავენ მისასვლელი გზების კეთილმოწყობისათვის. საწარმოს დირექტორთან ვ. ქურხიასთან საუბრისას გამოირკვა, რომ დირექცია ამის თაობაზე მრავალგზის მიუმართავს სოფლის მეურნეობისათვის, კერძოდ, ჯუმათის და ლიხაურის კოლმეურნეობების, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებისათვის, მაგრამ შედეგი არ ჩანს. პირიქით, გზები დღითი დღე უარესდება, გულშემატკივარი კი დღემდე არავინ ჩანს.

საწარმო მალე ახალმოსახლეობას იზეიმებს, გაუმჯობესდება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღიჭურვება თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, — თქვა დასასრულ ვ. ქურხიამ. — ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა განვახორციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის მოთხოვნები, გავაუმჯობესოთ მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურება, აღმოვფხვრათ ავტოავარიების შემთხვევები.

კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ნ. ნიკოლაიშვილი,
მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის" კორესპონდენტი.

ნოვატორთა მხარდამხარ

ამწყობ ზეინკალთა ბრიგადამ, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რომან ორაგველიძე ხელმძღვანელობს, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში" პირველმა აითვისა ახალი ოპერატიული მართვის სახარატო-ხრახნსაჭრელი და სახარატო ჩარხები.

◆◆

სურათზე: ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რომან ორაგველიძე და ამწყობი ზეინკალი ვალერი ბარბაქაძე აწყობენ ახალ ხრიულ სახარატო-ხრახნსაჭრელ ჩარხს.

ბ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა

ვსწავლობთ საზოგადოებრივ აზრს

გ. ენუქიძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

...ტორიული, დემოგრაფიული და სოციალურ-კულტურული ხასიათის მონაცემებს.

ცენტრის მეორე ქვეგანყოფილებაში — სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ლაბორატორიაში — საინტერესო შედეგები მიიღეს მრეწველობაში შიდასაწარმოო რეზერვების გამოყენების შესახებ, მეტალურგის პროფესიის პრესტიჟის, სოფლის ინტელი...

სკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, უფრო ზუსტად განისაზღვრა შრომითი კოლექტივების ამოცანები. სოციოლოგიურმა კვლევამ დაამტკიცებ...

...ბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების საკითხები გაშუქა.

ასეთივე მუდმივი რუბრიკით „დიალოგი" ცენტრის მასალები ქვეყნდება რესპუბლიკურ გაზეთ „კომუნისტში", უახლოეს დროს ანალოგიური რუბრიკების შემოღებას ვაპირებთ სხვა გაზეთებშიც. პრესაში გამოქვეყნებისა თუ ტელეგადაცემის შემდეგ ცენტრი...

ჟურნალი „პარტიინაია ჟიზნ". 1984 წ. № 16.

თქვენი ჩათვლის წიგნაკი, სტუდენტებო!

საქართველოს სტუდენტთა სამშენებლო რაზმების მებრძოლებმა „ტრიადა" შეფასებით ჩააბარეს შრომითი მესამე სემესტრის გამოცდა. მათ ორმაგი გადაჭარბებით შეასრულეს მესამე შრომითი სემესტრის სოციალისტური ვალდებულებები.

...5 ათასი მანეთი — მათ საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდში გადარიცხეს.

ც ოხატაურის რაიონის ცენტრიდან ხუთიოდე კილომეტრით დაშორებული სოფელი ხიდისთავი ბახმაროს მთის კალთებზეა შეფენილი. შესანიშნავი ბუნებრივი ადგილმდებარეობა, ზღვისა და მთის ჰაერი...

...ბრიგადის წევრებზე. კოლმეურნეობა 10 საწარმოო ბრიგადით არის დაკომპლექტებული და ათივე მოწინავეა.

ცნობილი მეჩაიე ლენინისა და ორი შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, სკკპ XXVI ყრილ...

...ცნობილია, ყველა სამეურნეო კულტურას თავისი აგროწესები აქვს. ხიდისთაველთა ჩაის პლანტაციებში, სიმინდის ყანებსა თუ ვენახებში აგროწესებისა და აგროვადების დროულმა დაცვამ ნაყოფი გამოიღო...

სოფელი კაცითა

...

ც. სიხარულიძე,
„კომუნისტის" საკუთ. კორ.

შეხვედრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

4 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საპარლამენტო დელეგაციის წევრი მ. მარტრე და ლუქსემბურგის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში გი დე მუიზერი, რომლებიც გაცნობის მიზნით მოგზაურობენ საბჭოთა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

ამხ. ო. ჩერქეზიამ სტუმრებს გააცნო, თუ როგორ ვითარდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, როგორია საქართველოს მიღწევები კულტურის, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში.

საუბრის დროს გამოითქვა რწმენა, რომ სტუმრების ვიზიტი ხელს შეუწყობს ევროპაში მშვიდობის განმტკიცების, აღმოსავლეთისა და დასავლეთის თანამშრომლობის საქმეს.

მ. მარტმა და გი დე მუიზერმა მადლობა გადაიხადეს გულთბილი მასპინძლობისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო განყოფილების გამგე ნ. ბ. რუხაძე.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ქალაქის მუზეუმები, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, იყვნენ მცხეთაში.

5 სექტემბერს სტუმრები თბილისიდან ერევანს გაემგზავრებიან. (საქინფორმი).

ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის

გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

აკადემიკოს ლეონიდე გორგილაძის დაბადების 70 წლისთავის გამო

4 სექტემბერი — უცხოეთში — ფაქტები, მოვლენები, საქმისი იუწყება

მოძმე ქვეყნების პრესის ფურცლებზე

სსრ კავშირის გამოცდილებაზე დაყრდნობით

სოფია. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის, მისი ლენინური კომუნისტური პარტიის ისტორიულ გამოცდილებას ახალი საზოგადოების მშენებლობის საქმეში...

განვამტკიცოთ მშვიდობა პლანეტაზე

შრომა და მშვიდობა განუყოფელი ცნებებია. ამის მტკიცე რწმენამ მოიყვანა თბილისის მშრომელთა ასობით წარმომადგენელი პროფკავშირების სასახლეში, სადაც გაიმართა პროფკავშირების სამშვიდობო მოქმედების დღისადმი მიძღვნილი საერთო-საქალაქო ომისსაწინააღმდეგო მიტინგი...

ფოტოფაქტი

სისხლიანი დრამა ბელფასტში

რისხვითა და გულისწყრომით აღიქვეს დიდ ბრიტანეთში სისხლიანი რბევა, რომელიც ოლსტერის მრავალტანჯულ მიწაზე მოხდა.

პოლიციის მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტებისათვის პლასტიკური ტყვიების დაშენა სრულიად გაუმართლებელი იყო, აღნიშნავს გაზეთი „გარდიანი". „როცა პოლიციელები მანიფესტაციის დასარბევად გამოიყვანეს, ისინი უპრეცედენტო სიმკაცრით მოქმედებდნენ. მათ, ვინც გაქცევით თავის შველა დააპირა ან წაიფორხილა და ტროტუარზე დაეცა, პოლიციის ხელკეტით ხვდებოდნენ", — განაგრძობს გაზეთი, „წესრიგის დამცველთა" მტკიცების საწინააღმდეგოდ. — წერს „გარდიანი", — დემონსტრანტებისათვის პლასტიკური ტყვიების დაშენა და ხელკეტების გამოყენება სულაც არ ყოფილა მანიფესტაციის მონაწილეთა მიერ პროვოკაციულად გამოწვეული". გაზეთის მონაცემებით, პოლიციის მსხვერპლი 4 წლის ბავშვიც კი გახდა.

სურათზე: ბელფასტის სისხლიანი დრამის ეპიზოდი.

აპ-სააგენტოს ფოტო.

საფრანგეთი-აშშ

მიზანი იგივეა

გფრ: მორიგი მილიტარისტული შოუ

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ...

„პარტიული სიტყვა № 16"

დაჯილდოება

ბაზრობები, ბაზრობები...

ამ ზაფხულს ვაჭრობაა გამართული საქართველოს მრავალი ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე, რაიონულ ცენტრებში, სოფლებში. დაახლოებით 60 მუდმივმოქმედი ბაზრობა რესპუბლიკის მცხოვრებლებს, მრავალრიცხოვან დამსვენებლებს სთავაზობენ შეიძინონ ტანსაცმელი, საბავშვო, მოსწავლეთა ნივთები, პირველი საჭიროების საგნები, საკურორტო საქონელი. კვირაობით განსაკუთრებით გაცხოველებული ვაჭრობაა — სადღეისო 1,5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

— ამ ზაფხულს შარშანდელთან შედარებით გაიზარდა ღია ცის ქვეშ სავაჭრო წერტილების რაოდენობა, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან ა. კოკაიასთან საუბარში რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსმა ვ. ჰუენიამ. — ზაფხულის სავაჭრო სეზონის მოქმედებს ერთიანი დევიზით „მყიდველს — მაქსიმალური ყურადღება".

ზედმიწევნით ვარჩევთ ბაზრობების ნაწარმის სასორტიმენტო მინიმუმს, რომელიც საკურორტო ზონებშია გამოტანილი. ამ ასორტიმენტის შედგენისას ითვალისწინებენ იმ ადამიანთა მოთხოვნილებებს, რომლებიც გარკვეული დროით მოშორებული არიან სახლს. საქმისადმი ასეთი მიდგომა საგრძნობ ეფექტს იძლევა. ბაზრობების სალაროების შემოსავალი...

...

ბენ კომუნისტები, რომლებსაც მხარში უდგანან საწარმოს მშრომელები. მათი მიზანია შეასრულონ ვალდებულება, სტახანოვური შრომით აღნიშნონ საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 40 წლისთავი, ამ დღისათვის შეასრულონ ხუთწლიანი დავალება.

წინასწარი შეკვეთით

ინერგება დიდი სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდთა მომსახურების ახალი ფორმა — წინასწარი შეკვეთით მათ შინ მიუტანენ სურსათ-სანოვაგეს. ეს დიდი სამამულო ომის ინვალიდებისა და მონაწილეების სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების ერთი ღონისძიებათაგანია.

დღეს თბილისის 23 მაღაზია უწევს მომსახურებას დიდი სამამულო ომის ვეტერანებს. აქ მათ შეუძლიათ შეიძინონ სურსათი და სამრეწველო საქონელი. მარტო შარშან და მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში მაღაზიებმა გაყიდეს 30 მილიონი მანეთის საქონელი. განზრახულია მომავალში გაფართოვდეს ეს სპეციალიზებული სავაჭრო ქსელი. მომავალი წლის დამდეგს ოქტომბრის ქუჩაზე გაიხსნება სამრეწველო საქონლის დიდი მაღაზია, რომლის ხელმძღვანელებსაც ვეტერანთა კომისიის წარმომადგენლებთან ერთად უფლება ენიჭებათ საჭირო საქონელი შეარჩიონ უშუალოდ ბაზებში, რის მეშვეობითაც უფრო სრულად დააკმაყოფილებენ მათს მოთხოვნას.

— და მაინც, ვეტერანთა მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია, — თქვა საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარემ, გენერალ-მაიორმა ნ. თავართქილაძემ. — მაღაზიებში საქონელი არარიტმულად მიაქვთ, ძირითადად ყოველი თვის ბოლო დეკადაში, დანარჩენ დროს კი მაღაზიები ცარიელია. ეს იწვევს რიგებს. ლიტონ სიტყვად რომ არ ჩამომართვათ, მოვიყვან კონკრეტულ მაგალითს. მხოლოდ 22 ივნისის შემდეგ „თბილისტანსაცმელვაჭრობის" № 68 და № 9 მაღაზიებში შემოზიდეს შესაბამისად 455 და 78 ათასი მანეთის საქონელი. ყოველნაირი საშუალებით გეგმის შესრულების მიზნით საქონელს თავისუფლად ყიდიან, რითაც უხეშად არღვევენ „დებულებას დიდი სამამულო ომის მონაწილეთა სავაჭრო მომსახურების შესახებ". თანაც, საქონელი შემოაქვთ მოთხოვნის გაუთვალისწინებლად.

ამის შედეგად მაღაზიები იქცევა ძნელად გასასაღებელი პროდუქციის საწყობებად. მაგალითად, იმავე № 9 და № 68 მაღაზიებში თაროებზე იმტვერება 80 ათასი მანეთის თეთრეული. მის გვერდით „ინჰები" 1979-80 წლებში გამოშვებული ტრიკოტაჟი. იმავე დებულებით კი საქონელი, რომელიც ერთი თვის მანძილზე არ გაიყიდა, უნდა გადანაწილდეს.

შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი უთავბოლობის სხვა მაგალითებიც. თითქმის ყველა მაღაზიაში არის ჩამოფასებული საქონლის გასაყიდი განყოფილებები, რომელთა არსებობა ამგვარ სავაჭრო ობიექტებში გამართლებული არ არის.

ნაკლოვანებებია სასურსათო მაღაზიების მუშაობაშიც. ხშირია შემთხვევები, როცა მაღაზიებში შემოტანილი პროდუქტები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ვეტერანთა მოთხოვნილებას.

ვაჭრობის სამინისტრომ დასახა ღონისძიებათა მთელი კომპლექსი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამიერიდან ალრიცხვის მოწესრიგების მიზნით შემოღებული იქნება ერთიანი ნიმუშის ბარათები, ხოლო დეფიციტური საქონელი გაიყიდება ერთჯერადი ხმარების ტალონებით. უახლოესი თვის მანძილზე ომის ინვალიდებისა და მონაწილეების მომსახურე მაღაზიებიდან გაიტანენ ჩამოფასებულ და ბავშვთა ასორტიმენტის საქონელს. ხორციელდება სხვა ღონისძიებებიც ვეტერანთა მომსახურე ვაჭრობის საწარმოთა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

(საქინფორმი)

აკლა ნასახლარის ფუძეებში, სადაც ისინი დაიბადნენ...

ადრე კი ფიცრული იდგა, რომლის ჭერი ორ იზოლს იჭერდა.

ომის დასაწყისში ხშირად მო-...

ᲨᲘᲜᲛᲝᲣᲡᲕᲚᲔᲚᲝ, ᲡᲐᲓᲐ ᲮᲐᲠ!

იმედი

...

დაკარგული ჩემი ქმარი ალარც კი მიტირია...

ჩვეული უნდა ამეგოო...

ომში დაღუპულთა უკვდავსაყოფად ყველა ქალაქს, ყველა სოფელს აქვს თავისი წმინდა ადგილი. ასეთ თელავის რაიონის სოფელ ფშაველშიც...

...

აჭარის მთის საძოვრებზე

ნოემბერ ალპურ ველებზე ხულოს რაიონის მეურნეობათა საქონელი ძოვს. მეცხოველეები წარმატებით ასრულებენ სოციალისტურ ვალდებულებებს, რომელთა მიზანია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის, 1984 წლის თებერვლისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელება.

სურათებზე: ეს გოგონები ხულოს რაიონის სოფელ ოქრუაშვილების სკოლის დამთავრების შემდეგ ხამუშაოდ მშობლიურ კოლმეურნეობაში დარჩნენ. მაღალი მთის სოფლების მეცხოველეთა შორის სახელი მოიხვეჭეს ნადია ცეცხლაძემ, ეთერ როგაძემ, ზებულ აბაშიძემ, ლეილა ხოლომონიძემ, ლია ცეცხლაძემ, ნანული შავაძემ და ზილრიე თავართქილაძემ (მარცხნიდან). სოფელ ბეღლეთის კოლმეურნეობის უხუცეს მეცხოველეს ალი კახიძეს უკვე 90 წელი შეუსრულდა, მაგრამ მუშაობაში ბევრ ახალგაზრდა კოლმეურნეს არ უდებს ტოლს; აჭარის მთის საძოვრებზე; მთის ზოლიკებით — ალპური ველებისაკენ.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲔᲑᲘ

შემოქმედებითი გამოცდა

ვარმატებით ჩაიარა საქართველოს სიმფონიური ორკესტრის გასტროლებმა ბიჭვინთასა და გაგრაში. რესპუბლიკის დამსახურებულმა კოლექტივმა, რომლის სადირიჟორო პულტთან იდგა ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მისი მთავარი დირიჟორი ჯანსუღ კახიძე, აღნიშნული გამოსვლებით აღნიშნა ამ ზღვისპირა ქალაქების მსმენელებთან თავისი შემოქმედებითი თანამეგობრობის მეათე წლისთავი.

— ბიჭვინთასა და გაგრაში გამოსვლები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა ჯანსუღ კახიძემ, — ჩვენთვის მარტოოდენ გასტროლები კი არა, სერიოზული შემოქმედებითი გამოცდაა. მთელი ამ წლების მანძილზე ჩვენთან ერთად გამოდიან თვალსაჩინო დირიჟორები და შემსრულებლები. ეს ჩვენს კონცერტს ანიჭებს მასშტაბურობას, მრავალეროვნული საბჭოთა საშემსრულებლო სკოლის სხვადასხვა მუსიკალური ძალების ფესტივალ-დათვალიერების ხასიათს. აღნიშნულმა კონცერტებმა, რომლებიც მუსიკის ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცა, დიდ აუდიტორიას მოუყარა თავი.

ორკესტრის კონცერტებში ამჯერად მონაწილეობდნენ ვილნიუსის, რიგის, ლენინგრადის, სიმფონიური ორკესტრების მთავარი დირიჟორები — ი. დომარკასი, ვ. სინაისკი, ა. დმიტრიევი, ოპერის თეატრ „ტიტონის" მთავარი დირიჟორი ვ. კლასი, საქართველოს სახალხო არტისტი ... ცნობილი სოლისტები ... ბ. პეტრუშანსკი, ... ნ. ... რომლებიც საიუბილეო გამოსვლებისათვის სპეციალურად მოემზადეთ.

გასტროლების დამთავრების შემდეგ ორკესტრმა უკვე დაიწყო მზადება ახალი საკონცერტო სეზონისათვის, რომლის პროგრამაც ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ დიდ მოვლენებს. პირველ ოქტომბერს აღინიშნება მუსიკის საერთაშორისო დღე. ამ დღეს ჩვენი მოსკოველი სტუმრები — საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები ვიოლონჩელისტი ნ. გუტმანი და მევიოლინე ო. კაგანი შეასრულებენ ჩაიკოვსკის უკვდავ ნაწარმოებებს. ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისათვის ორკესტრი შეასრულებს შოსტაკოვიჩის „მეშვიდე სიმფონიას", რომელიც ნევის ციხესიმაგრის დამცველთა გმირობის სადიდებელია, მასსავე მერვე სიმფონიას, ა. ბალანჩივაძის პირველ სიმფონიას, გმირული თემატიკისადმი მიძღვნილ ს. პროკოფიევის, ტ. ხრენიკოვის, რ. შჩედრინის, ს. ნასიძის ნაწარმოებებს.

ფართოდ იქნება წარმოდგენილი საზღვარგარეთელ შემსრულებელთა შემოქმედება. გასტროლებზე ჩვენთან ჩამოვლენ ინგლისელი დირიჟორი დევიდ ლოიდ ჯონსი, ბერძენი სიმონიდისი და სხვები.

ორკესტრს ახალი საგასტროლო მარშრუტები ელის: მოსკოვი, ლენინგრადი, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. (საქინფორმი).

მოძრავი გამოფენა

ონი. (საქ. კორ.). რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად მაღალმთიან სოფელ ცხმორში მოაწყო მოძრავი გამოფენა თემაზე „ჩვენი სახელოვანი თანამემამულე", რომელიც...

...

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. როგორც იცით, გუშინწინ გაიმართა პირველი ლიგის ჩემპიონატის 32-ე ტურის მატჩები. ერთი მატჩის შესახებ უკვე გაუწყეთ („გურია"-ბათუმის „დინამო" —3:0), ახლა გთავაზობთ დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს: „სპარტაკი"-„ტორპედო" — 0:0, „არტიში"-„ყუბანი" — 1:1, „პამირი"-„ფაკელი" — 1:0, „ლოკომოტივი"-„შინიკი" 2:1, „ტავრია"-„დაუგავა" — 1:0, „ნისტრუ"-ასკ-„კარპატი" — 1:2, „ზვეზდა"-„ზარია" — 1:0, ხაბაროვსკის ასკ-„ისკრა" —2:1, „კუზბასი"-„როტორი" —1:1.

დღეისათვის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფაკელი"	20	4	6	44-17	44
„ტორპედო"	17	6	7	57-39	40
„ყუბანი"	16	5	10	43-25	37
„ლოკომ."	13	11	6	34-26	37
„მეტალ."	14	8	8	45-32	36
ასკ „კარ."	15	5	11	49-33	35
„პამირი"	14	7	10	40-29	35
„დაუგავა"	12	10	9	49-36	34
„გურია"	11	9	11	36-36	31
„სპარტაკი"	11	7	13	32-36	29
ასკ ხბ.	10	9	11	39-42	29
„ტავრია"	10	9	12	32-36	29
„ზვეზდა"	12	4	15	36-44	28
„როტორი"	12	4	15	43-57	28
„ისკრა"	10	8	13	29-35	28
„ნისტრუ"	9	10	12	31-43	28
„კუზბასი"	10	7	13	34-40	27
„დინ." ბთ.	10	7	13	33-46	27
„შინიკი"	9	8	14	37-41	26
„კოლხიდა"	8	9	13	34-45	25
„ზარია"	7	7	16	34-46	21
„არტიში"	4	10	16	28-50	18

მორიგი ტური 8 სექტემბერს გაიმართება. „ტორპედო" უმასპინძლებს „ზვეზდას", „დინამო" — „პამირს", „გურია" — „სპარტაკს".

ძიუდო. მინსკში, სტუდენტთა საკავშირო სპორტული ასპარეზობის ფინალური ტურნირის პირად შეჯიბრებაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები ძმები გიორგი და ანზორ თეძეები (პირველი უწონოსი იყო 71 კგ, მეორე 78 კგ)...

...

ინებეთ „ქაშ" და „ბალიათა"!

...

ცოდვის ტვირთი

...

მოსკოვი

...

ჩვენს ტელეეკრანებზე

თბილისი

...

თეატრი

...

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-88-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 5-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 22-86; ტყიბული — 25-52.